

სს „საქართველოს ბანკი“-ს აქციონერის,
სს „ბიჯეო ჯგუფი“-ს გადაწყვეტილება

28 მაისი, 2018

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდარვა მაისს სს „ბიჯეო ჯგუფი“-ს (ს/კ #405103034, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი,გაგარინის 29ა) (შემდგომში - „აქციონერი“) მიერ, რომელიც წარმოდგენილია მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ბ-ნი ავთანდილ ნამიჩიშვილის სახით(რწმუნებულება, გაცემული 2015 წლის 1 ივნისს სს „ბიჯეო ჯგუფი“-ს გენერალური დირექტორის ი. გილაურის მიერ, დამოწმებული ნოტარიუს ი. შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის #150561560), მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქვემოთ მოცემულ საკითხებზე. ვინაიდან „აქციონერი“ ფლობს სს „საქართველოს ბანკი“-ს ჩვეულებრივი აქციების და შესაბამისად ხმების 75% ზე მეტს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1¹ მუხლისა და სს „საქართველოს ბანკი“-ს წესდების 7.1.2 ქვეპუნქტის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

დღის წესრიგი:

1. ბანკის 2017 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში ბანკის 2017 წლის საქმიანობის შესახებ;
3. მოგების განაწილების (დივიდენდების გადახდის) შესახებ;
4. დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ;
5. დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ.

დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით „აქციონერის“ მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1 საკითხი - ბანკის 2017 წლის აუდიტორული შედეგების დამტკიცების შესახებ:

1. დამტკიცდეს აუდიტორული კომპანია შპს „იუაი საქართველო“-ს მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა და ბანკის 2017 წლის ფინანსური ანგარიში.

2 საკითხი - დირექტორატის ანგარიში ბანკის 2017 წლის საქმიანობის შესახებ:

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2017 წლის საქმიანობის შესახებ.

3 საკითხი - მოგების განაწილების (დივიდენდების გადახდის) შესახებ:


1. დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივი წინადადება 2017 წლის მოგებიდან 120 000000 (ას ოცი მილიონი) ლარის ოდენობის დივიდენდის განაწილების შესახებ და სს „საქართველოს ბანკის“ თითოეულ ჩვეულებრივ აქციაზე განაწილდეს დივიდენდი 4.31 ლარი (ოთხი ლარი და ოცდათერთმეტი თეთრი) ოდენობით.

4 საკითხი - დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ:

1. დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 14 ივნისი, 18:00 საათის მდგომარეობით.

5 საკითხი- დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ:

1. დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 2 ივლისი.



ავთანდილ ნამიჩიშვილი

სს „ბიჯეო ჯგუფი“-ს

გენერალური დირექტორის მოადგილე